



ქართული
გრაფიკა
ნან. ჯ. ლომოვანი

13
1961

№ 13 თბილისი ივლისი 1961
ნანუა
გამოცემის XXXIX წელი, ფასი 20 კაპ.

— დღე და ღამე მგზავრები გადაგყავს და
მაინც იმას ამოგბინ არსად მუშაობენო!

ქართველმა საზოგადოებრიობამ 1961 წლის 27 ივნისს ფართოდ აღნიშნა გამოჩენილი ქართველი მწერალ-აკადემიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების 70 წლისთავი.

მეგობრული შარუები
ბ. ზირცხალავასი

მიმდინარე წლის 19 ივნისს გაზეთ „კომუნისტის“ კოლექტივის მოწვევით საქართველომ ესტუმრა დიდი რუსი საბჭოთა მწერალი მიხეილ ალექსანდრეს ძე შოლოხოვს.

საქართველო
ბიბლიოთეკა

დიდოსტატი კონსტანტინე

შეჭუდექ საუკუნეთა,
მალემსრბოლთა და უნდოთა;
ვთქვი რაც უნდოდა დავითს და
რაც არსაკიძეს უნდოდა.

ვეაჯნე წელთა მრავალთა,
თუმცა ხმალს ისევ ვილესავ,
ახლა მიხდიან მაღალმთას
ჩუბ — იუბილესა.

ვარ საქართველოს ძუძუმტე
და სიყვარულის ოსტატი...
— იკურთხოს შენი მარჯვენა,
გამსახურდია კონსტანტინე!



წყნარი დონიდან გვესტუმრე,
გვითხარი ძმური სალამი.
მრავალ ყამირსა გასტეხდეს
შენი ბრწყინვალე კალამი!

არიან მსმელები, რომლებიც, ასე ვთქვათ, არაყს ისე, მადის მოსაგვრელად თუ გადაკრავენ, თორემ მაინცდამაინც როდი ეძალებიან, პირიქით, გაიძახიან: კაცმა არაყი რატომ უნდა სვას, როცა ნაირ-ნაირი ღვინოები მოუცია დედა-ბუნებას ამ ჩვენს აყვავებულ ქვეყანაში.

ღვინო უწყინარია, ორგანიზმსაც უხდება, სუფრასაც ამშვენებს სისხლშიც მიდის, — ამბობენ ისინი, თუმცა, როცა ღვინო მეტისმეტობით რეტისრეტობას იწყებს, სისხლში კი არა, თავში მიდის და მსმელი კი ქუჩაში ვარდება და სახლში ვეღარ მიდის. ჩხუბი, აყალმყალი, ოჯახური უსიამოვნება, შრომის უნარის დაქვეითება, გონების თანდათან მოშლა და დამოუკიდებლობა და სხვა მრავალი მანკიერება მოსდევს ღვინის მიძალბებას.

ჩვენს დროში, როცა მოშარიშურე ბუნებრივი აბრეშუმის გვერდით ხელოვნური აბრეშუმიც აშარიშურდა, როცა ქიმიურმა მრეწველობამ უნაზესი ქსოვილების დამზადება იწყო, აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც უბრალო წყლისაგან იწყეს ღვინის დამზადება და ეს ხელობა გამდიდრების წყაროდ გაიხადეს.

როგორც წინამატისა და ტარხუნას, დანძილისა და ზღმარტლის ჩამოტანა შეუძლია გლეხს საკოლმეურნეო ბაზარზე, ისევე ღვინის ჩამოტანა და გაყიდვაც შეეძლო ბოლო დრომდე, ვიდრე ყალბის-მქნელებისა და ფალსიფიკატორების მეოხებით, ღვინით მოვაჭრეთა პრესტიჟი სამუდამოდ დაეცემოდა. ამის გამო, რომ კანონმა კანონიერად აკრძალა ნუნუათი არაორგანიზებული ვაჭრობა.

აკრძალა, მაგრამ განა ყველასათვის?

აი ოჩამჩირეში ოთხი სხვადასხვა სახლის პირველ სართულზე ოთხი „არაოლეალური“ ღვინის წერტია. ოქტომბრის ქ. № 16-ში გახსნილ ღვინის სავაჭროს ვინმე მოსიძე უდგას დახლშიც და სათავეშიც. მოსიძე „პურმარლიანი“ კაცია, მას ყოველთვის ბლომად აქვს ხაჭჭო, ნაირ-ნაირი ღვინო და ცივი საუზმე.

თუ ჯიბე სქელი გაქვს, ჩადი მასთან ღვინის წერტში და ჯიბეთსელი, მაგრამ, სამაგიეროდ, თავგასივებული ამოხვალ იქიდან.

მოსიძეს რომ ჰკითხო, მიაკოვსკის რაიონის სოფ. როკითის კიროვის სახელობის კოლმეურნეო-

სენაქსი სოკრანიძე

ბას ეკუთვნის ეს წერტი, ხოლო მისი წერტად კურთხევა ოჩამჩირის მშრომელთა დეპუტატების რაი-ალმასკომის თავმჯდომარის ამხ. ამიჩბას დამსახურებაა.

აი მისი მიმართავს: „კოლმეურნეობის გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე ნება დართონ საკოლმეურნეო ბაზარზე აწარმოონ ღვინის რეალიზაცია ორი თვის ვადით“.

ღვინის რომ ყიდიან და ჯიბეს ისქელებენ, ეს გასაგებია, მაგრამ გაუგებარია, რა უფლების ძალით გაიცა ასეთი ნებართვა და, თუ რაიმე უფლების ძალით გაიცა იგი, რატომ სწორად არ სრულდება, ნებართვაში ხომ ნათქვამია, ღვინის რეალიზაცია ბაზარზე აწარმოონ; ჰოდა, როდის გადმოიტანეს საკოლმეურნეო ბაზარი ოქტომბრის ქ. № 16-ში?

როგორც ჩანს, მიაკოვსკის რაიონს შეფად აუყვანია ოჩამჩირის რაიონი და უკისრია მისი ღვინით მომარაგება.

მეორე სავაჭრო წერტი ღვინის ქუჩაზეა. იგი, გადმოცემით, მიაკოვსკის რაიონის სოფ. ფერსათის ბუდიონის სახ. კოლმეურნეობას ეკუთვნის. მისი გამგე კოლმეურნე არ გვეჩინო, ქუთაისელი მოქალაქეა, ვინმე ლომინაძე (მისამართი ღვინის პოსტექტი № 14).

სად ქუთაისელი მოქალაქე და სად ფერსათელთა ღვინის წერტი?! ლომინაძეს პასპორტის გარდა სხვა არაფერი საბუთი არ აბადია, ხოლო მისი წერტი

ყოველგვარი საბუთის, ვინაობისა და ავანჩავანის გარეშე ბუზებივით ისევს მუშტარს.

— რაღა მე მამოწმებთ ასე მკაცრად, — ხელებს ასავსავენს ლომინაძე, — ჩემსავით სხვებიც ბევრი ვაჭრობენ, არც სხვებსა აქვთ საბუთი, არც სხვებსა გააჩნიათ ნებართვა, ბედი არა მაქვს, რაღა მე ჩავიგარდითო!

— მართალი ბრძანდებით, მოქალაქე ლომინაძე! ოჩამჩირეში, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, კიდევ ორი წერტია, მაგრამ მათი მესვეურები თქვენზე გამოცდილი და ფრთხილი ხალხია. როგორც კი ყურს მოჰკრავენ, რომ ვინმეს ამოწმებენ, უშველზე ბელ ბოქლომს დაადებენ წერტს და რამდენიმე საათით შარშანდელი თოვლივით ქრებიან. ოჩამჩირე სულაც არაა გამოჩალისი. ქ. სოხუმის ცენტრშიაც ოჩახელაშვილის ქ. № 29-ში ასეთივე ღვინო-არაყისა და ცივი საუზმის სავაჭრო წერტი აქვს გახსნილი ვინმე სიმონ ჩხაიძეს. ასევე აფხაზეთის სხვა რაიონულ ცენტრებში არცთუ ისე იშვიათად წააწყდებით მხაგეს წერტებს, საიდანაც ყოველთვის გამყრუებელი სიმღერებისა და ყაყანის ხმა მოისმის. ოღონდ, ჩვენ ერთი რამე გვაწუხებს და იმიტომ გავუხებთ თქვენცა და მკითხველებსაც:

როდემდე წაუყურებენ სათანადო ორგანოები ამ საეჭვო ღვინით საეჭვო პირების არასაეჭვო კერძო ვაჭრობას?

ი. პერსანია



ტიკო ოზმანოვი უბრალო კაცი არ გეგონოთ. მისთვის ბუნებას ყველაფერი კარგი მოუმაღლებია, შნოც მოუცია და მარიფათიც, ერთის სიტყვით, თითოთ საჩვენებელი მოქალაქე გაუხდია.

პროფესიით ხარაზია ტიკო და ხარაზობს კიდევ, მაგრამ ჩუმად, თავისთვის. იგი თავის ცხოვრებასაც თვითონვე ჭრის და თვითონვე კერავს. და ისე ოსტატურად აკეთებს ამას, რომ თქვენი მოწონებული.

აღრე ხოშტარიას ქუჩა № 6-ში ცხოვრობდა ტიკო, მშობლების სახლში. მართალია, არსად არ მსახურობდა იგი, მაგრამ, როგორც თავშემონახულ კაცს, ფული საკმაოდ ჰქონდა შემონახული და აი 1959 წელს გუნიას ქ. № 9-ში სამოთახიანი ბინა შეიძინა სამზარეულოთი, შუშაბანდითა და ეზოთი.

„ჯან, ტიკო, ტიკოს“ სიმღერით ჩასახლდა ტიკო შიგ, თავისი მეუღლითურთ, მერე მშობლებიც გადაიყვანა იქ და არხეინად გამოიჭიმა.

მშობლები, რა თქმა უნდა, არ ამოწერა ძველი ბინიდან, იფიქრა: ეს ბინა სანახევროდ სარდაფია და, დღეს იქნება თუ ხეაღ, ჩემს მშობლებს ახალი ბინა უნდა მისცეს სახელმწიფომ.

ტიკომ ძველი ბინის კარებიც არ გამოკეტა, თავისი ბიძა და ბიძაშვილები ჩაასახლა შიგ ჩაუწერლად. ამგვარად, თვითონაც ფართოდა ტიკო, თავისი მშობლებიცა და ახლო ნათესავებიც ლადადა ჰყავს.

1960 წელს „პობედა“ შეიძინა იმჟამინდელ 37.000 მანეთად, ოთხი თვე ატარა და ატარა, შემოატარა ცა და ქვეყანა და მერე 43.000-ად გაყიდა.

იმავე წელს მოსკოვიდან ჩამოიყვანა 65.000-ად ნაყიდი „ვოლგა“ გზრ 21-27, რომელსაც გამორჩენის მიზნით იყენებს, ასე ვთქვათ, „ატაქსავებს“.

სხვათა შორის, უპატენტო მუშაობისათვის ერთხელ კიდევაც გაასამართლეს ტიკო ოზმანოვი, მაგრამ ახლა მას „მაგრად უდგას ფეხი“ მიწაზე.

იმასაც კი ამბობენ, რომ მისი ოჯახის წევრები სპეკულაციას ეწევიანო. სამჯერ ჩამოიტანეს რიგის ავეჯი, პირველი ორი პარტია არ მოეწონათ და, ცოტა არ იყოს, მეტ ფასად გაყიდეს. ბოლო პარტია ჯერჯერობით დაიტოვეს, მაგრამ, მოსალოდნელია, ისიც მალე გაყიდონ და, ეს რა გასაკვირია, როცა ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო.

ტიკომ მოსკოვიდან სარეალიზაციოდ საბურავები ჩამოიტანა და გურამიშვილის ქ. № 13-ში ტაქსის მძღოლს ვინმე შალიკოს სახლში ინახავს. მარიფათი და შნო არ ელევა ტიკოს, თვითონ რომ ჰკითხო, მანქანების მრეცხავად მუშაობს გარაჟში, სინამდვილეში კი ხარაზობს, სპეკულანტობს და ამნაირი მაქინაციების მეოხებითა და წყალობით ხელგაშლილად ცხოვრობს.

თუ ბოლომდე შერჩა ყველაფერი ეს, მაშინ მართლაც და ჯან ტიკო, ტიკო, ჯან!

ბ. მუსხარელი

პლენარის პრესკონფერენციაზე, 24-ე საშუალო სკოლის შენობაში მცხოვრებ პედაგოგ ვახტანგ მშველიძეს ბინის გათავისუფლება მოსთხოვეს და საბურთალოსე სამაგიერო ბინა შესთავაზეს. ახალი ბინა რამდენადმე მცირე ფართობს მოიცავდა, მაგრამ მისი მომავალი დამჭირავებელი გადასვლაზე მაინც დათანხმდა, რადგან ამ ბინაზე ტელეფონი იდგა. ვახტანგ მშველიძე ამა წლის 9 იანვარს ჩასახლდა ახალ ბინაში. ადგილზე დაუხვდა ტელეფონი № 2-15-63. მალე მან ავტომატური ტელეფონის ქსელის დირექციას მიმართა განცხადებით, რათა ჩაებარებინათ მის ყოფილ ბინაში დატოვებული ტელეფონი № 3-65-13 და სამაგიეროდ დაეტოვებინათ ახალ ბინაზე დიდი ხნის წინათ დადგმული ტელეფონი. აქ განსაკუთრებული თითქოს არაფერი იყო. მოქალაქე ერთ ადგილას აბარებდა ტელეფონს და დებულობდა მეორე ადგილზე. არც რაიმე ხაზის გაყვანა იყო საჭირო, არც თავისუფალი ნომერი და კედლის გახვრეტა-განგრევა.


მაგრამ მოხდა ის, რაც დაწესებულების კარგმა ხელმძღვანელმა არ უნდა გააკეთოს. ამა წლის 28 თებერვალს ტელეფონი № 2-15-63 მოიხსნა ვახტანგ მშველიძის ახალი ბინიდან და აღმოჩნდა საკმაოდ მოშორებით, სრულიად სხვა ბინაში.

ვახტანგ მშველიძეს პედაგოგიური მუშაობის 33 წლის სტაჟი აქვს. მუშაობს სამედიცინო ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის უფროსად, არის პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის შტატგარეშე ინსტრუქტორი და რაიონის სასამართლოს სახალხო მსაჯული. ალბათ, მკითხველი მაინც მისვდება, რომ ასეთ კაცს უსათუოდ სჭირდება ტელეფონი.

როგორც მოსალოდნელი იყო, დაზარალებულმა აღძრა საჩივარი. ამან ავტომატურად დიდი წყენა და მითქმა-მოთქმა გამოიწვია ავტომატური ტელეფონების ქსელის დირექციაში. მშველიძეს უბასუხეს, რომ მეტი არც ხაზი გაგვანია და არც ნომერი, ხოლო იმ დღეებში მისი სახლის სადარბაზო შესასვლელში დიდი ზემით დადგეს ტელეფონ-ტაქსაფონი, რომლის მსგავსიც აქამდე ვერა და ახლაც ჰკიდია ამ სახლის შორიახლო.

ზემოაღნიშნული გახურებული ბრძოლის შემდეგ, როგორც იყო, დაშვებდა ქსელის დირექცია და მოქალაქე ვახტანგ მშველიძეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომიდან გადმოგზავნილ მის განცხადებაზე შემდეგი შინაარსის პასუხი გაუგზავნა: „თქვენი თხოვნა ტელეფონის დადგმის შესახებ აყვანილია აღრიცხვაზე და განხილული იქნება საბურთალოში სადგურის ექსპლოატაციაში გაშვების შემდეგ“. ალბათ, დაავიწყდათ ქსელის მუშაკებს, რომ ამხ. ვ. მშველიძე თავის განცხადებაში უკანონოდ მოხსნილი ტელეფონის აღდგენას მოითხოვდა და არა აღრიცხვაზე აყვანას.

მეორეც, რას ნიშნავს აღრიცხვაზე აყვანა, ამხანაგო ვაშაკიძე? მშველიძეს ხომ საკუთარი ბინიდან მოუხსენით ტელეფონი? ან რომელ სიაში გყავთ აყვანილი აღრიცხვაზე ვახტანგ მშველიძე. იმ სიაში ხომ არა, რომლითაც ზოგიერთ მოქალაქეს წლების მანძილზე დაპირებით ისტუმრებენ?



გ. ივანიშვილი



— რაც ჩემს მოადგილედ დაგნიზნე, სულ უტკინოდ მუშაობ! — ვცდილობ, უფროსო, ყველაფერში მოგბადოთ!



უბურუნა წვიმა მივიდა...

კომუნალური მომსახურება



მომსახურების პირველ-სა ხარისხი დაზარალებულია დასახლებული პუნქტის გამომავალი. აგარაკებიდან სახლი დაიარსება. სასახურებიდან პირდაპირ გამოიწვევს. შარალა დადებული ვიყავი, მინც ვტარობდი; სოფლიდან ჩამოსული ცოლ-შვილი შევედი. სახლს კარში შევედი, და ის იყო თანხში ფეხი შევდი, რომ ცოლი აფთარივით მიტევა.

— უკ, შე სახიზღარო და ადრე დასამიწეო, ისარგებლე არა ჩემი წასვლით?! რა არის ეს, რა?!

— ამ მოლოდინშია შემოტევათ გამაგონა.

— რა შიხდა, ქალო, გამაგონებ... ამოვიღე და კიბეებზე წარბინა სული ძლეს მოვიკვი.

— ვინ არის გალთა გრაგინო? შე და-სახარმეველი, შენა!

— ვინ კრაგინო?.. — ვითხე გან-ციფრებულმა.

— ჰო, რა ლთის გრაგი შეგარა... ვინ კრაგინო და მოსკოვში რომ ცხოვრობს, — ფეხთა უცებ ცოლმა და რაღაც ქაღალ-დები ცხვირწინ ამბობდა.

სახლად დაბრუნ. ვერაფერი გამოვი.

— ვეებ იმერტრავად ლუმა გოლბე-ვასე არ იყავი? — ფეხი ცოლმა და ცრემლი წასცა. აღარ შეუძელი ასეთი ცი-დულსაგებობის გამოქმნა, პარალა ვე-აკი ვინდა ვყოფილიყავი.

— ვინ დღეს რაღაც მარტინა ფეხზე ხარ ამდარი, ვაგიცალე, მაგვფები დამანა-ხე, — ვუთხარი ცოლს.

— ხელები, შე ბიძაბერი მაგვფები კი

არა, შეგი ჭირი უნდა ნახო შენ. ვერბიბი, საცა ისტერია დაწყე-ვიდა.

სასოფარეგოლი ჩავფეხი სავარძელში. ქაღალდებს კიდევ ერთხელ დაგვხედა.

— დეზობი დიდებული — აღბოშდა უნდადა, როცხვა საბუღისურთა საცა-ლაფთობისის დელაპარაკების ქვირთები ვიცინა. ქვირთებზე გარკვევით ეწერა ჩემი მისამართი, ტელეფონის ნომერი, ჯვარი და სახელი, ჩავფიქრდი. უცებ ტელეფონმა გაბმული წარიალი მორთი. ცივმა ოფლმა დამასხა.

— ახლა ეს მინდა, — გავიფიქრე და ყურმილი უკრობი ავიღე.

— ვლამარაკი ხარკივს, — გაისმა ყურ-მილი შხამიდა.

— ცოლმა ყურები ცქიჭა და ვაგაბული თვალები მონიჭდა ჩამას მკლში.

მხელბუმი ძალგამოღული საცაძლის სახელურზე ჩამოვჯექი.

— ქალო, — ვთქვი ხრინწიანი ხმით.

— მიიღი, გამაგონა თხოვეთ, — მო-მესმა. გამაგინე ჩემი მხოზბული გაუ, რომელიც სწორედ წინადლით იკუმზავდა ხარკოში.

— მიდი და ამის შემდეგ მეზობელი გაიმინაურე, — ვუთხარი ცოლს და შევბი-ამოვინებთე.

ახლა შეგამინე, რომ მეუღლეს მივლი საფხული არაფერი მოუმატებია, პირქით, კარგა მარა შეუფთხილა და ფირც დე-უკარგავს.

ასი მანეთი მეორე დღეს სისარულით გა-დავიხიდე.

თ. გომეზაძე

უპასუხე ბედს

ამ მოკლე ხანში გლდანი ზემო და კვემო უნდადეს შორის დღეს უსამართლო ჩამოვარდა, როგორც მიხედავი კადრებ-ცხენებ, ამ უსამართლეს წინათაც ქართია ადგილი, მაგრამ, ასეთი აშკარა სახე არა-სოდეს მიუღია.

გლდანი ამ ერთი კვირის წინ წყალსა-დენის მიღებში წყალი გამართალა და ერთ-დაერთი წყაროს შიშლიდ ისკანანბი უბანში დაუწვია დინება. კვემო უნებურად ორი დღე კი დაუძლია, მაგრამ, როცა მი-ღებში წყალი არ გამოირალა, წყველითა და კრუღვით აუკალია ზემო უნებურად.

— ერთი უკუერთი მაგ გაუტანლეს, კოხ-თანაბნი ხვევის წყალზე მაგათ უნდათ და ვეკინის წყაროსც...

კვემო და ზემო უნებურად შორის კამათი წყვედა აღზე გადასულა, წველა ქოქოლზე, ქოქოლა აობთა მუშის კრებუ გადავიდო-და, რომ, სწორედ ამ დროს, საღამოს სიხს ლურჯი ქედიდან არ წამოგებრა და ვიდგა მონტიორის სწრაფად არ გამოვითმა სინათ-ლე.

სინებუმი წველასა და ლანდღას ისე-თი მიწართულება მიღია, რომ წყაროს რიგში მდგარი ვასანთვარი გოფები ცა-რიული კრეებით სახლში წასულან, ხოლო

თინოსის ქარვის სახ. ბაღში



გურამი ზომ გუზუნებოდე ეს სი ბაზინდელ რეკორდს მოხსნის-მეთოქი

არ მოკამათეს ერთმანეთის თავზე კოცნი დაღებურვითა. როგორც შემდეგ გამოჩ-კველია, აღნიშნული რაღა-დღემილინი ყოფილან და ორივე პირგვარზე დაუწო-თით, სინებუმი ვერ ვიცანით ერთმანე-თით, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება და კო-ცნი კი დაბტერეულად, ხოლო მეზობლები ამბობენ, მაგათ სხვა მტრობა ჰქონდათ გუ-ნებაში და მონტიორის წყალბით მოიფსა-ნეს გამობრტეული გულბანი.

იმ დღიდან დაწყებული გლდანიმ საღა-მის სიო არ შეუწყველია და ელექტრო-შულის მონტიორსაც არ ჩაურთავს სინათ-ლე წყაროს რიგში მდგარი დღესაც ვეტი ამბობენ, წყლისა და სინათლის განაწილე-ნი ვიდკვეს უნდათ პურ-მართლი განა-წილდნი, მაგრამ სამხრობაზე წყაროსთან დგარი ქალების უნას ბეჭვის თუმა შეუბ-ნისა, მაგრამ ვინ დაივარებს?

ისე კი, ნამდვილად, გლდანიმ არც წყლის საქვე მოვარებულად და არც სინათლსა.

3. პასნელიზმი

საქმიანობა

გათო და ნატო უშეგატოდ მეგობრობდ-ნენ. სადაც გატოს მახვდით, იქვე იყო ნატო და, სადაც ნატო — იქვე გატო.

არ იყი რატომ, მაგრამ ერთს ვერასოდეს ვერ წახვედი მარტო.

ერთივით ორნი, თუკრმც ორნი, რუს-თავებულდაც ორნი.

სხე გადიოდა დადები და ღამები და ახედვერ წყალი.

ნან. ფ. გრცხალაძე

ქართული

სოცარმა თქვა: დახლან როგორ დადვები, შეე დალით თუ არ და-მიდალი.

უკუწერის ცოლს ქალების: შენი ქვარა რომ არსად არ შეუხსნას რას გატევის — და სირყველო.

უნივერსალის მოღარეს უბრტეს: მაცავარი გამომწერე — და გა-მიფიქრე.

მომხრულს უბრტეს: ნეკი თა-მანს, იოამაწე.

3. უამარხაზმილი



— მოქალაქე აქ რატომ გადასებრით ქუნა, გადასაღვლი რომ არ არის?! — მონტიორი გახლავარი და გაღპარას ვარ შეჩვეული!

მისი (გაგონი)

იყო ქვეყნად ძალი, გამე-რი და კატა.

იყო კატა ტრელი და შავი, მაგრამ დაზე ყველას ნაერის-ფერი იყო და ყველას ყვითე-ლი თვალები ჰქონდა.

დადიონენ კატები ნება-ნება, ვის არ გადაუღოდინენ, სდ არ გადაუღოდინენ, მარტამ კატის და ნატის არა და არა.

ერდებოდინენ, ალბათ, უფრთხილდე-ზოდინენ მათი უწიკლო მეგობრობით მოხიბლულნი.

ერთ მართლა მოწინეერ შინა დღეს კატ-ის და ნატის მიწინას გაწყდა დიამო-მტეური ურთიერთობა.

თქვენ გგინათ შავმა კატამ გაიარა მათ შორის?

რასა ბრძანებთ!

თუშეა ჰო, მართლა გაიარა, ოღონდ უშეგატოდ.

ერთმანეთს რომ უნდა შეხედროდინენ, დროზე გამოცხადდა ერთიცა და მეორეც და, ერთი მეორეს რომ მოუხლოდინენ, აღ-მოჩნდა, რომ ორივე ერთმანირად ეცა...

შეუბღვირეს ერთი მეორეს... და ნახეს, რომ შავ კატას უშეგატოდ გაეღლო მათ შორის...

ქალებო, თუ ვინდათ არ შეგძლეული ერთმანეთი, ნუ იცავთ ერთმანირად.

რა კობია წარმართობა!

ღმერთი ხომ... შეენ კეთა მოვეტა-ტყვესა, გვაქვს უფალავი ფერთა...

ვენაცვალე რუსთველს, წინასწარ გვაგა-მარტოთ...

მოხმარებელი — დღეს ფესსაგლებში რომ მიიღეთ, რატომ მახვებთ. იციდეთ ამისათვის მასწავლებთ.

გამყიდველი — ფეხი არ ჩაგეთათ!

მოხმარებელი — მაჩვენეთ ფესსაგლები და ჩამივა თუ არა, ვნახათ.

... ..

— იცი, ჩვენმა ღირებუტორმა დღეს თა-ვი გამოირინა!

— ასეთი რა გააკეთა?

— ტუდი მოხიდა კატაზე.

... ..

ქეთანხმა ექიმს მოახსენა:

— ერთი ხელდამწვარი კაცია მისაღები.

— თხილეთ არ დამენახოს, ხელდამწვა-რი ჩემი თვალდერი მეკარგება, კაკოს ვერ გააგდებინებ.

3. ა. ს. აბაღლაძე

— ალო, წყალსადენის უფროსის ბრძანა! სასახურში ვირეგეთ და ვერ დადიავიწრო-ლით.

— მე, ძმაო, კაბინეტურ მეუბობას არ გეწევი. რაშია საკმე?

— რაში და წყალზე. წარღწა ჩვენს ეზოში, მილა გასკდა, ვინჩრობით.

— თუ მას მარ, მიხსარი შენი მიხა-მართი. — საღვე გამოვგზავნი ვინჩეს... ვინჩრობით უწყობით.

მარტორი

ბაბაი მუხარამი

სად მარხია კატის თავი!

საგამოფენო კომიტეტი ხშირად ნამუშევრის შეფასების დროს უფრადლებას აქცევს არა მის მხატვრულ ღირსებას, არამედ სიდიდესა და მოცულობას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნან. გ. ფირცხალავასი

— დიდუ, ამას რას ვხედავ! ხალხო, არავინ ხართ ცოცხალი?! — ზედა სართულის ფანჯრებიდან თოჯინებივით გადმოეკიდნენ სიზმრებით გატენილი თავები. გადმოეკიდნენ და მათმა მფლობელებმა ხელათ ცხვირებზე იტაცეს ხელი: შუა ეზოში დარბაისლურად ესვენა მუთაქასავით გაბერილი კატის ცხედარი, რომელზეც გამგებულ ბუზებს „პიკირება“ მიჰქონდათ.

— ვინ ქნა ეს, რა მხეცობაა!
— შავი ჭირი არ აგვცდება!
— ამდენი ვირთხების ხელში კატას მოკლავდა კაცი?

— რა იცი, იქნება ვირთხებმა მოკლეს! ხალხი სათოფეზე არ ეკარებოდა კატას, თითქოს მასში გატენილი ნაღმი იყო.
— გამაგებინა, ნეტა ვისია ეს უბედური?!
— იკითხა ერთმა და სართულებს მოავლო თვალი.

პატრონი არსად ჩანდა.
— შალიკოსი უნდა იყოს, — თქვა მეორემ, — კარგა ხანია მისი კატა არ გამოჩენილა.

— ამ სიგრძე კატა მე არა მყოლია! — იუარა შალიკომ.

— ეჰ, ფეხს ნუ გაგვიმავთ, ჩემო ბიძია, თორემ ჩვენც ასე დაგვრძელდებით.

— არც თეთრი ხალი ჰქონია შუბლზე!

— ხალი არა, ახლა თაფლისფერი თვალები მომთხოვე! — გაბრაზდა პირველი.
— შენი მიცვალებული თუა, ბიძიკო, დროზე გააპატიოსნე. ხომ ხედავ, ველარ ვსუნთქავთ!

შალიკო პრინციპულად არ აპირებდა ჭირისუფლობას.

— ისმაილა სად ჯანდაბაშია ნეტა?! — მოაგონდა ვილაცას.

სასწრაფოდ მოძებნეს ისმაილა, კატას თავზე დააყენეს და მიცვივდნენ პირში:

— რაშია საქმე, ბოლოს და ბოლოს. ჯამაგირს რომ იღებ ტყუილად, მეუზოვე ხარ, თუ არტელის თავმჯდომარე! დავიხრჩოთ გინდა ნაგავში?! ჩქარა გააქრე ეს კატა აქედან, თორემ ხვალ შენი ბურღა არ იქნება აქ!


ისმაილამ ჯერ ულვაშებზე გადაისვა ხელი (არ ჰქონდა თუ!), მერე დოინჯი შემოიყარა და განაცხადა:

— მე ამ კატას არ ზავილვან!
— რატომ?!
— კატა ნაგავი არაა. კატა კატაა. ვინც მოგლა, იმან ზაიდოს!

ისმაილა მისი ულვაშებით სწორი იყო. ამას დროულად მიხვდნენ ეზოში.

— კი, შენი ჭირიშე, ისმაილ, მაგრამ ჩვენ სად წავიდოთ. შენ ამ საქმის პროფესორი ხარ. ოქრო გამოგდის ხელიდან. თუ ძმა ხარ, გვიშველე!

— არ შემიზლია, ხაზენებოჯან. მეც კასი ვარ, არა? ვა, ვა, როგორ ღარს. ძნილია თუ კატა! — ამ სიტყვებზე გაზუნტული ცხვირსახოცი აიფარა ცხვირზე და თავის სახლში ჩავიდა.



შემფასებელთა გასაჭირი.

ბუზებს დამხმარე ძალები მოუვიდათ, ამათ კი მშველელი არავინ ჰყავდათ.

— სანამ აირწინალები დაგვჭირდებოდეს, ისმაილას ფული შევუგროვოთ. — შემოიტანა წინადადება ვილაცამ.

ხელათ მოიქეპეს ჯიბეები. ისმაილას ცხვირწინ აუჩხრიალეს თეთრი ფული.

— კასო, სოდო არა ვარ? სად უნდა ზავილო, ისი, ტიფლისს გარეთ!

— ისმაილ, ისმაილ, აჰა ტაქსის ფულიც!

შუადღისთვის ეზოში ძლივს მოხერხდა ნორმალური სუნთქვა...

მეორე დღეს მკვდარი კატა მეზობელ ეზოშიც იპოვნეს. სცენები ზუსტად განმეორდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ

აქაურმა მეუზოვემ ფული თვითონ მოითხოვა.

მესამე დღეს მესამე ეზოში შეიცხადა მკვდარი კატა...

ჩანდა, ან შავი ჭირი მძვინვარებდა ირგვლივ, ანდა ვილაცა კატის ჯიშის გადაშენების იშტაზე იყო მოსულნი.

მაგრამ საქმე სხვა კუთხიდან გასკდა, როდესაც მეოთხე ეზოში შემთხვევით შევლილმა პირველი ეზოს ბინადარმა თვალი მოჰკრა მუთაქასავით გაბერილ ხალიან კატას...

...უახლოესი ღვინის სარდაფიდან გუგუნით ამოდირდა ქურთული „კვარტეტის“ ხმები.

ჰარი ჰარალი



ჩინგვის სახეობის წარმოშობა

ნიანგს, როგორც ყველა სულიერს, დასვენება სჭირდება ზაფხულობით. მასაც აქვს საზაფხულო არდადეგები, ამიტომ საზაფხულო არდადეგების წინ ნიანგმა გადაწყვიტა კიდევ ერთხელ მოეწყო კითხვა-პასუხის საღამო, რათა დასასვენებლად გულდაშვებულად წასულიყო. და აი, უამრავი ჟურნალისტი, ფოტოკორესპონდენტი, მკითხველი და მთხოველი დაესწრო გამოსათხოვარ საღამოს.

პირველი კითხვა ნიანგს ქალაქ სამტრედიის ნინოშვილის უბნის ლენინის ქუჩის მცხოვრებმა რობერტ პაპავამ მისცა.

კითხვა. ძვირფასო ნიანგო, არ იფიქროთ, რომ თქვენს ცოდნაში გჭვი მებაგრება, მაპატიეთ და მაინც მიხდა გკითხოთ — რამდენნაირი დენი, სინათლე ანუ განათება არსებობს?

პასუხი. მუდმივი, ცვლადი, მაღალი ძაბვის, დაბალი ძაბვის...

კითხვა. ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ, იცით თუ არა, რომ ჩვენს უბანში, გარდა ზემოაღნიშნულისა, კიდევ არსებობს განათების სრულიად ახალი ფორმები. აი ისინი: „სატირალის სინათლე“, „ქორწილის განათება“, „სადღესასწაულო შუქი“, „გამოპარული ენერჯია“ და სხვა. საიდან გაჩნდა ეს ტერმინები? უსინათლობიდან. როცა ნინოშვილის უბანში ვინმე მოკვდება და მონტიორი 10 მანეთად გამოუშვებს დენს, მას „სატირალის სინათლე“ ეწოდება. „ქორწილის სინათლე“ ცოტა უფრო ძვირი ღირს. იგი 15 მანეთამდე აღწევს. „სადღესასწაულო შუქი“ უფრო კოლექტიურ ხასიათს ატარებს, მაშინ ყველა იხდის ცოტა-ცოტას, რათა ახალ წელს ჭიქა პირის ნაცვლად ყურთან არ მიიტანონ.

ყველაზე საინტერესო მაინც „გამოპარული ენერჯია“. ეს ის მომენტია, როდესაც მონტიორის მოვალეობას ღმერთი ასრულებს. ასეთ შემთხვევაში ქარი შემთხვევით რთავს დენს მავთულების გადახლართვით და ქარის ჩადგომამდე ვართ განათებულები.

ასლა რას გვიჩვენებ, ძვირფასო ნიანგო. ავამოქმედოთ ის ორი საცოდავი დიდი ხნის წინათ ნაყიდი უპატრონო ტრანსფორმატორი და ნორმალური დენით ვისარგებლოთ, თუ ავტესოთ განვაში და მოვითხოვოთ პატენტი ელექტრონიკაში დენისა და განათების ახალ სახეთა აღმოჩენა-ჩამოყალიბებისათვის.

პასუხი. გააგრძელეთ მაგ ხაზით მუშაობა და ეცადეთ მოიგოთ დენის ისეთი ახალი სახეობა, რომელიც სამტრედიის „ელქსელის“ მუშაკებს ცოტათი მაინც დაარტყამს და ნაპერწკლებს აყრევიანებს. ასეთი კონტაქტი სამტრედიის „ელქსელის“ მუშაკთა მხედველობაზეც, ნერვებზეც, მახსოვრობაზეც და ჯანმრთელობაზეც კარგად იმოქმედებს.

გისურვებთ წარმატებას, მეგობრებო!

კითხვა. ძვირფასო ნიანგო, მე დიდხანს არ შვავსუხებ, გვცხ არ იყოს, ძალიან მეჩქარება, აჭარის აღმართის სასოფლო საბჭოში შემავალი სოფლის ქედქედის მაღაზიის გამყიდველის შაშვიკაძის საცხენელად მივრბივარ. ერთი თვეა ძაფი მიხდა ვიყიდო და ვერსად დავიჭირე. ვისაც ვკითხე, ყველა ასე მპასუხობს: — არ ვიცი, ბატონო!

— სახლში იქნება, ბატონო!

— სადმე ახლომახლოს იქნება, ბატონო!

არ დადგა საშველი მის მოძებნას. შენ ხომ არ გვასწავლი, ნიანგო, რა მოვუხერხოთ ქედქედელელებმა შაშვიკაძეს?

პასუხი. გამოაბით ეფვანი მიმინოსაგით და, სადაც იქნება, ხმით მაინც მიაგნებთ. თუ ამან არ გაჭრას, დააბით მაღაზიაში, თუ ამანაც არ გაჭრა და აიწყვიტოს, მაშინ ამ ზაფხულს მაინც ზღვისპირაზე ვაპირებ დასვენებას, ჩამოვალ და შაშვიკაძეს უფასო საგზურით გავგზავნი დასასვენებლად, რომ თქვენც დაისვენოთ გამყიდველის დაუსრულებელი ძებნით.

კითხვა. დიდად პატივცემული ნიანგო, თქვენ ჩვენზე ადრე გაიგებდით და გაგიხარებოდით, რომ ქ. ბათუმში პლანეტარიუმი გაიხსნა. ჩვენ ქედის რაიონის სოფელ ხარაულას მოსწავლეებს არანაკლებ გაგვხარებია ეს ამბავი, რადგან ესლა ისეთი ეპოქაა, ყველა ცისკენ იყურება, ყველა კოსმოსს შესცქერის და ყველა თავის ბედის ვარსკვლავს დაეძებს გალაქტიკაში.

პლანეტარიუმის ხელმძღვანელობამ გაიგო ეს ამბავი და ჩვენს სკოლას პლანეტარიუმის აბონემენტები შემოსთავაზა. შეგაგროვეთ მოსწავლეებმა თითო მანე-

თი, მასწავლებლებმა კი თითომ მანეთანსეგარი. ამ თანხამ საერთოდ 150 მანეთამდე შეადგინა. აბონემენტის ძალით სოფელში 10 კინო-ლექცია-მოსვენება უნდა ჩატარებინა პლანეტარიუმს, მაგრამ, შენც არ მოგვიკვდე, პლანეტარიუმი ვენერასაგით ბურუსშია გახვეული, ვერც წერილით, ვერც რადიოთი, ვერც სვეწინით ვერაფერი შევაგებინეთ. ჩვენი თხოვნა ვერ აღწევს ბურუსის სქელ ფენებში. პლანეტარიუმი დუმს. იქნება შენ მიაწვდინო ხმა, ძვირფასო ნიანგო, და თხოვო, ან ფული დაგვიბრუნოს, ან ერთი კინო-ლექცია-მოსვენება მაინც ჩავეტარო?


პასუხი: როგორც ეტყობა, ბათუმის პლანეტარიუმს თქვენ ან ციდან ჩამოკვნილები, ან ჩვენი მზის სისტემის მიღმა მოდრეიფე რომელიღაც მეტეორზე მცხოვრებნი ჰგონიხართ. მე ვეცდები მოკლე ხანში ვინახულო პლანეტარიუმი და შეგახსენო მის თანამშრომლებს რომ თქვენ ნამდვილად ჩვენი მზის სისტემაში შედიხართ, ცხოვრობთ დედამიწაზე, ქედის რაიონის სოფელ ხარაულაში და რომ ეს სოფელი ბათუმიდან მხოლოდ 70 კილომეტრით არის დაშორებული.

ნახ. მ. აბაშიძისა



— ბატონო პროფესორო, ორი წელია გვასწავლით გულს გაუფრთხილდითო, ეს ორიანი თქვენს საგანში კი გულს მიკლავს!

მისალმე გამოცდაზე



- გვარი?
- თვალავაძე, ბატონო!
- ვისი ხარ, ბიძია, შენ?
- აქვსენტია თვალავაძის, ბატონო!
- აჰა, მახლობელი ყოფილხარ, მამაშენი ჩემი ქვისლის კა. მეგობარი იყო. რა ამბავია, ბიძიკო, სოფელში?
- დიდი ამბებია, ბატონო ჩემო, სოფლის საბჭოს თავმჯდომარე გამოცვალეს. ჩემი მეზობელი რომაა, გოგუცა მექათმე, წიწილების გამოზრდაზე მუშაობს. დღე და ღამე მუშაობდა, ისეთ მოუარა წიწილებს, ქე დაზარდა უკლებლივ. ასლა იმფერი სურათით გამოჭიმეს გაზეთში, თქვენი მოწონებული. ისეთ უჭირავს იმ გოგოუნას თავი, გეგონებათ...
- შენც კაი ბიჭი ყოფილხარ, ბიძიკო, შევწყვიტოთ ასლა, წადი, ოთხიანს გიწერ.
- რაგა, შემეშალა რამე თუ?

ლ. მარტაშვილი

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ხ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. კელიძე. ხაქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუხთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის — 8-76-69, ხაერთო. განყოფილების — 8-10-49

ხელმოწ. დასაბ. 29/VI-1961 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნახ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფობინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეგ. № 1203, უგ 1203. ტირაჟი 40,000

არა სოციალისტური ქვეყნები, არამედ დასავლეთის სახელმწიფოები იგდებენ აბუჩად მსოფლიოს, როცა საღი გონების წინააღმდეგ აცხადებენ, რომ არ ცნობენ საზავო ზღვრულეების დადებას და შეეცდებიან შეინარჩუნონ დასავლეთ ბერლინში საოკუპაციო რეჟიმი, რომელიც მათ, თურმე ნუ იტყვი, ბრძოლით მოიბოვებს. ეს არ არის მშვიდობის პოლიტიკა, ეს არის სახელმწიფოთა ურთიერთობის ყველაზე ელემენტარული ნორმების ფეხქვეშ გათელვა. ეს არის სურვილი შეინარჩუნონ უკიდურესი დაძაბულობის მდგომარეობა საერთაშორისო ურთიერთობაში და, უფრო მეტიც, ომით დამუქრება.

(ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლიდან რადიოთი და ტელევიზიით 1961 წლის 15 ივნისს).

„ცინი ომის“ ბაზა
ცხელი ომის ბასაჩაღებლად.

